

ცხოველები და ჩვენ: წინ რევოლუციისაკენ

დედამიწა 200 წლის შემდეგ: ათასობით კილომეტრზე გადაჭიმული ხასხასა მწვანე მინდვრები, აყვავებული ხეები, მოჩუხჩუხე მდინარეები და სუფთა წყაროები, ზვიადი მთები, ფირუზისფერი ლაჟვარდოვანი ცა. მაგრამ. . . ეს ულამაზესი პანორამა თითქოს არასრულყოფილია, რადაც აკლია ბუნების მშვენიერებას. სად გაქრნენ ცხოველები? სად არიან ცხვრები, ბატკნები, ძროხები? რატომ არავინ ასეირნებს ძაღლებს? რა დაემართათ მეთევზეებს, რომლებიც საათობით ისხდნენ მდინარის ნაპირას თევზის მოლოდინში? რატომ აღარ არის ზოოპარკები და იპოდრომები?

კეთილი იყოს თქვენი მომავალი ცხოვრება დედამიწაზე ცხოველთა სამყაროში მომხდარი რევოლუციური ცვლილებების შემდეგ. თითქოს გამჭირვალე კედელი აღმართულა ჩვენ შორის. ძროხის ხორცი უჯრედული კულტურებისაგან მიიღება, რობოტი შინაური ცხოველები ბავშვებს ართობენ, მოხუცებს უვლიან. სუპერკომპიუტერები ქმნიან ყველა საჭირო წამალს, საკვებს და უამრავ აუცილებელ საშუალებებს, რაზეც ადრე ვერავინ იოცნებებდა.

რა მოხდა? “ცხოველებმა გამოავლინეს შინაგანი უნარი” სირთულეების დასაძლევად. საუკუნეების განმავლობაში პირუტყვის რაოდენობა თანდათან შემცირდა და ყველა ცხოველი თითქოს გამჭირვალე მინის კედლის მიღმა დარჩა, რათა საბოლოო განაჩენი ეპოვათ: **გადარჩენა, ევოლუცია ან სიკვდილი.**

არ შეშინდეთ! ეს არასდროს მოხდება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები განსხვავებული მოსახრებებით ურთიერთობენ ცხოველებთან, სიტუაცია ასე ადვილად და მკვეთრად მაინც არ შეიცვლება. ჩვენი ურთიერთობა ცხოველებთან არის კომპლექსური, შექცევადი, ხშირად არასწორიც, რაც წარმოქმნის უამრავ პარადოქსულ სიტუაციას.

ცხოველების მიმართ მადლიერები უნდა ვიყოთ. ადრეული ქვის ხანიდან დღემდე ვერაფერს შევძლებდით მათ გარეშე. საკვების, ბეწვეულისა და ძვლის ნაკეთობების გარეშე უფრო ცოტანი გადავრჩებოდით, პატარ-პატარა გაფანტულ თემებად დავსახლდებოდით, მუშა ცხენების, ხარებისა და ვირების გარეშე სოფლის მეურნეობაც ვერ განვავითარებდით.

სოფლებსა და ქალაქებში მოსახლეობის აგრეგაციისა და საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების ნაკლებობა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას შეაფერხებდა. მოკლედ, მოშინაურებული ცხოველის თითოეული სახეობა, აბრეშუმის ჭიდან კამეჩამდე, უდიდეს გავლენას ახდენს ჩვენ სამყაროზე.

უფრო მეტიც! ცხოველები უზრუნველყოფენ ჩვენი კვებისა და შემოსვის უწყვეტ პროცესს, ასევე კოსმეტიკისა და წამლების წარმოებას საჭირო ინგრედიენტებით (მაგ. ინსულინის დამზადება). მათგან ვიღებთ ნედლეულს ძვირფასეულობისათვის, მათ ვიყენებთ სამუშაო ძალად, პრეპარატების საცდელად და ა.შ.

ცხოველები გადაიქცნენ ზოოპარკებსა და ცირკებში ადამიანთა გართობის საშუალებად, სპორტული თამაშობებისა და შეჯიბრებების შეუცვლელ მონაწილეებად(მამლების ჩხუბი, დოღი და ა.შ.). ჩვენ ვნადირობთ, თავისუფალ დროს ვაჭენებთ, აზარტული თამაშისას მათზე ფსონებსაც ჩამოვდივართ,

რელიგიური მიზნებისათვის მსხვერპლად ვწირავთ, ანატომიის შესასწავლად ვფატრავთ, მათ შესახებ მოთხრობებს ვწერთ (ბერძნული მითები, ზღაპრები და ა.შ.), სურათებს ვხატავთ. მათი არსებობა ქმნის უამრავ სამუშაო ადგილს ვეტერინარებისთვის, მომთვინიერებლებისთვის და სხვა მრავალი სპეციალისტისათვის. ცხოველები და მათზე დაფუძნებული ინდუსტრიები მილიარდობით დოლარს გამოიმუშავენ მსოფლიოს მასშტაბით.

ადამიანების პოზიცია ცხოველების მიმართ ყოველთვის ჩამოუყალიბებელი იყო (*ობ. "It's a dog's life"*), მაგრამ ბოლო ხანებში ჩვენი დამოკიდებულება მათ მიმართ საფუძვლიანად შეიცვალა. მეცნიერება ცხადყოფს, რომ ცხოველები იმაზე მეტად გვანან ადამიანებს, ვიდრე აქამდე გვეგონა - ისინი ადამიანებივით მგრძობიარებიან კი არიან. დღემდე ცხოველებს აღიქვამდნენ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოსაყენებელ არსებებად, დღეს კი მათ მგრძობიარე ინდივიდებად მიიჩნევენ. ამასთან დაკავშირებით ევროკავშირმა კანონმდებლობაში "ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ" შეიტანა შემდეგი განსაზღვრება: **"ცხოველი არის ერთერთი ინდივიდთაგანი, რომელსაც გრძნობები გააჩნია"**. მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა დაადგინეს ცხოველებში გრძნობების არსებობა, მკვეთრად შემცირდა ზღვარი ერთმანეთისაგან გამიჯნულ ორ განსაზღვრებას შორის - "ჩვენი" და "ისინი".

რა საჭიროა ამდენი აუცილებელი ამ საკითხის ირგვლივ? რა შეცდომებს ვუშვებთ ცხოველებთან ურთიერთობისას? არაფერს, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ მათ გააჩნიათ გრძნობები და ემოციები, ან გავითვალისწინებთ მაგრამ არ მივაქცევთ ამას ყურადღებას. ცხოველებთან ურთიერთობისას ადამიანები დაბალ ზნეობრივი დონეს ამჟღავნებენ. დაუშვებელია ასეთი მორალური სიბრძნის შემდგომი შენარჩუნება.

დღევანდელი სიტუაცია უნდა შეიცვალოს ლოგიკური ქმედებებით. საზოგადოება თანდათან უფრო შემწყნარებელი ხდება. ეს ძალზე შესამჩნევი გახდა წლის დასაწყისში ლონდონში ჩატარებულ მაღალი პროფილის ორდლიან მსოფლიო ფერმერულ კონფერენციაზე. ეს გახლდათ ისეთი უჩვეულო შემწყნარებლობის გამოვლენა ცხოველების მიმართ, რაც წლების წინ წარმოუდგენელად მიგვაჩნდა. ზოგიერთ განვითარებულ, მდიდარ ქვეყანაში იზრდება მოთხოვნა ნატურალურ სუფთა ხორცზე, ასევე იზრდება ბიორგანული მეურნეობების, ვეგეტარიანელებისა და ვეგანების (მკაცრი ვეგეტარიანი) რიცხვი. ცხოველთა კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე მეცნიერების (*პროფ. ტემპელ გრანდინი*) ძალისხმევის შედეგად დიდი კორპორაციების (*მაგ. მაკდონალდსი*) სასაკლაოები უკვე იყენებენ ცხოველთა კეთილდღეობის მაღალ სტანდარტებს (*ობ. "Practical passions"*).

ადამიანებისა და ცხოველების შორის ურთიერთობის მეცნიერულ შესწავლას **ანთროზოოლოგიას** უწოდებენ. არსებობს ანთროზოოლოგიების საერთაშორისო საზოგადოება და ჟურნალი **"Anthrozoös"**.

ცხოველთა ქცევის შესწავლა გვეხმარება გავიგოთ მათი თავისებურებანი, შესაძლებლობები და უნარები. პროფესორი გრანდინი ცხოველთა უნარებს აღწერს მათი გონება შეზღუდულობის მაჩვენებლების მიხედვით.

დღეს, ადამიანების დამახასიათებელი თვისებების გაიგივება ცხოველებთან სულაც არ ნიშნავს კარიერის ავტომატურ დასასრულს. ზოგიერთი მეცნიერი იმასაც კი აღნიშნავს, რომ ადამიანებისა და ცხოველების დამახასიათებელი

თვისებების მკვეთრი გამიჯვნით შეიძლება ფუნდამენტური საკითხები გამოგვრჩეს. (იხ. *ფრანს დე გაალი* "Suspicious minds").

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მაგ. პროფ. გარი ლ. ფრანჩიონე (იხ. "Our hypocrisy"), თუ ცხოველებს გააჩნიათ ადამიანთა "მსგავსი გონება", მაშინ ეს გულისხმობს ადამიანთა გარკვეულ მორალურ პასუხისმგებლობას ცხოველებისადმი და შესაბამისი ურთიერთობების დადგენას. ეს საკითხის ძალზე ზედაპირული განსაზღვრაა. თუ დავეთანხმებით ცხოველებში შინაგანი ფასეულობების არსებობას, მაშინ სრულიად უნდა შევწყვიტოთ შინაური ცხოველების გამოყენება ადამიანების საჭიროებებისათვის.

პროფ. სიმონ ბლეკბარნის აზრით (იხ. "Getting into their heads"), მეცნიერებას შეუძლია ბევრი რამ მოგვითხროს ამის შესახებ, მაგრამ რეალურად ვერასოდეს გავიგებთ აქვთ თუ არა ცხოველებს ადამიანების მსგავსი აზროვნება. მაშ რა უნდა ვქნათ? აი, ეს არის სირთულე.

როგორც ყოველთვის, მეცნიერება ახლაც გვიყენებს გარკვეულ მოთხოვნებს. სამეცნიერო მიღწევები გენეტიკასა და სხვა მონათესავე დისციპლინებში გვაძლევს ცოდნას ცხოველთა ექპლუატირების სხვადასხვა გზების შესახებ. უკვე შესაძლებელია ფიქრი გენეტიკურ მოდიფიკაციაზე, კლონირებასა და ქსენოტრანსპლანტაცია.

საკვირველია, რომ მიუხედავად ასეთი პარადოქსებისა, ადამიანები მაინც ამჟღავნებენ არაორდინალურობას.

შინაურ ცხოველებს (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების) ვეპყრობით როგორც ოჯახის წევრებს (იხ. "Me and my pet"), მაგრამ არ ვფიქრობთ მილიარდობით სხვა ცხოველზე, რომელთაც გლობალურად ხოცავენ საკვებად, კოსმეტიკასა და მეცნიერებაში გამოსაყენებლად და ასევე სხვა მრავალი დანიშნულებისათვის.

დიდ ბრიტანეთში ვეგეტარიანიზმისა და ვეგანიზმის გავრცელების სწრაფი ტენდენცია აღინიშნება. ამერიკაში კი მკვეთრად იზრდება მოხმარებული ხორცის რაოდენობა. ჩვენ არ გვსურს, რომ ცხოველები ფერმებში საშინელ პირობებში იტანჯებოდნენ, თუმცა არც იმისთვის ვართ მზად, რომ უფრო მეტი გადავიხადოთ მაღალხარისხიან ხორცში. ნადირობისა და ტყეების გაჩეხვის შედეგად ვანადგურებთ სხვადასხვა სახეობის ცხოველებს. ცხოველთა კეთილდღეობის დამცველი ადამიანები ხშირად ხდებიან ბრაკონიერებისა და დაუმორჩილებელი ჯგუფების მსხვერპლნი.

სხვა არჩევანი აღარ დაგვრჩა! უნდა მოვძებნოთ ურთიერთობის ახალი ფორმა, რომელიც ხელსაყრელი იქნება როგორც ადამიანებისთვის, ასევე ცხოველებისათვის. უნდა გაანალიზდეს ყოველი შანსი, რომელიც გვქმნება.

ამ სტატიის მიზანი სწორედ ესაა. ჩვენ გამოვკვეთეთ ცხოველებთან ურთიერთობის რამოდენიმე ექსტრაორდინარულ გზა, შევისწავლეთ ცვლილებები ამ ურთიერთობებში და გამოვააშკარავეთ ამ ურთიერთობების ზოგიერთი საიდუმლო.